საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას თვრამეტი წლის ხუთ დეკემბერს, მე, ნოტარიუს ხათუნა კალანდარიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ბათუმი, ნოე ჟორდანიას ქ.№12-ში, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა: **ხვიჩა პაპუნიძემ (დაბადებული 31.03.1971წ, პირადი #61006011559, მცხოვრები მისამართზე: ბათუმი ვ.გორგასალის ქ. N 149/151/153 ბ. 1)** მან განაცხადა, რომ:

ა) არის **შპს "ბი ემ სი გორგია"-ს** (რეგისტრირებული 14.07.2008 წ. საიდენტიფიკაციო #245621288, იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, სოხუმის ქ. #10) დირექტორი და მოქმედებს მისი სახელით.

ხვიჩა პაპუნიძემ მოითხოვა შესაბამისი სანოტარო აქტის შედგენა და მისი მიღება (დამოწმება სანოტარო წესით) ჩემს მიერ.

მე შევამოწმე **ხვიჩა პაპუნიძის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, შევამოწმე ქმედუნარიანობა, რომელიც ჩემში ეჭვს არ იწვევდა; ასევე დავადგინე მისი უფლებამოსილება შემდეგი დოკუმენტებით:

1) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს "ბი ემ სი გორგია"-ს შესახებ 2) შპს "GBM" (იგივე „ ბი ემ სი „) –ის წესდება .

მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენის შემდეგ შედგა შემდეგი აქტი:

მინდობილობა/რწმუნებულება

შპს "ბი ემ სი გორგია" (რეგისტრირებული 14.07.2008 წ. საიდენტიფიკაციო #245621288, იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, სოხუმის ქ. #10) წარმოდგენილი მისი დირექტორის ხვიჩა პაპუნიძის (პ/ნ 61006011559) სახით, რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მარწმუნებელი", **ნატალია ხუციშვილს (დაბ: 22.09.1982წელს, პ/ნ 20001018784)** რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „რწმუნებული", ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

1. მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში რწმუნებული უფლებამოსილია, მარწმუნებლის წესდებით დადგენილი ნორმების დაცვით:

ა) დადოს მარწმუნებლის სახელით საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" განსაზღვრულ სუბიექტებთან მომრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომელთა ღირებულება არ აღემატება 4 000 ლარს. დამოუკიდებლად განსაზღვროს ყველა ამ გარიგების დადებისას შინარსი, პირობები, ფასი, თანხა, ვადა და სხვა. შეიტანოს მათში ცვლილებები და დამატებები, გააუქმოს/შეწყვიტოს/მოშალოს ისინი. შეასრულოს დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები და ისარგებლოს წარმოშობილი უფლებებით.

ბ) შეასრულოს სხვა მოქმედებები, რაც არ არის მითითებული პირდაპირ მაგრამ გამომდინარეობს წინა ქვეპუნქტში მითითებული უფლებამოსილებიდან და რაც აუცილებელი გახდება მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2. რწმუნებულს არ აქვს უფლება აღნიშნული უფლებამოსილებანი სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირებს.

3. წინამდებარე აქტი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

4. წინამდებარე აქტის მოქმედება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ნებისმიერ დროს მარწმუნებლის მიერ, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს რწმუნებულს.

აღნიშნული საჯარო სანოტარო აქტი, მე, ნოტარიუსმა ხათუნა კალანდარიშვილმა ხმამაღლა წავუკითხე მხარეს, **თავადაც წაიკითხა იგი** და მკაფიოდ და ნათლად დაადასტურა, რომ ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი.

2) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „ბი ემ სი გორგიას" შესახებ (ელ ასლი ინახება ჩემს სანოტარო არქივში)

3) შპს "GBM"-ის წესდება (ელექტრონული ასლი ინახება სანოტარო აქტში, დამოწმებული ჩემს მიერ 11.07.2014 წელს, რ# **140728081**)

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 10.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა, "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (29 დეკემბერი, 2011 წელი, დადგენილება №507) 31 მუხლის და, აგრეთვე დღგ თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა 1. 80 ლარი, ასევე რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, თანახმად ამავე დადგენილების 39–ე მუხლისა.

საქართველოს ნოტარიუსი ხათუნა კალანდარიშვილი
GEORGIA NOTARY KHATUNA KALANDARISHVILI
61001014087